

(1) 9. ვინ დაიცვა პირველი დისერტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში?

(2) ა. პეტრე მელიქიშვილმა ბ. ივანე ჯავახიშვილმა გ. აკაკი შანიძემ დ. სიმონ ყაუხჩიშვილმა

(1) 10. ვის ეკუთვნის ნაშრომი „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“?

ა. სულხან-საბა ორბელიანს ბ. იოანე ბატონიშვილს გ. ილია ჭავჭავაძეს დ. სოლომონ დოდაშვილს

(1) 11. რომელი იყო თემურ ლენგის იმპერიის დედაქალაქი?

ა. ისპაჰანი ბ. პერსეპოლისი გ. თეირანი დ. სამარყანდი

(1) 12. რომელ წელს მოხდა კულიკოვოს ბრძოლა?

ა. 1299 წ. ბ. 1380 წ. გ. 1381 წ. დ. 1382 წ.

(1) 13. რომელ რელიგიას მისდევენ ეთიოპიაში მცხოვრები ფალაშები?

ა. ისლამს ბ. იუდაიზმს გ. ქრისტიანობას დ. ბუდიზმს

(1) 14. რომელმა ხალხმა დაარსა ქალაქი რიგა 1201 წელს?

ა. გერმანელებმა ბ. რუსებმა გ. პოლონელებმა დ. ინგლისელებმა

(1) 15. ჰაბსბურგთა გვარი წარმოსდგა ციხე-კოშკის ჰაბიხტსბურგის სახელწოდებიდან, რაც ნიშნავს?

ა. „ქორის ციხეს“ ბ. „აუღებელ ციხეს“ გ. „მიუდგომელ ციხეს“ დ. „არწივის ციხეს“

(1) 16. რამდენ სანტიმეტრს უდრის ერთი არშინი?

ა. 70.12 სმ-ს ბ. 71.12 სმ-ს გ. 73.12 სმ-ს დ. 74.12 სმ-ს

(1) 17. სად დაიბეჭდა საქართველოს პირველი კონსტიტუცია?

ა. თბილისში ბ. ბათუმში გ. ქუთაისში დ. თელავში

(1) 18. ვინ იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი შინაგან საქმეთა მინისტრი?

ა. აკაკი ჩხენკელი ბ. კარლო ჩხეიძე გ. ნოე ჟორდანიას დ. ნოე რამიშვილი

(1) 19. რამდენი ქალი გახდა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი?

ა. 2 ბ. 3 გ. 4 დ. 5

(1) 20. რომელ წელს აკრძალეს იაპონიაში ქრისტიანობა?

ა. 1636 წ. ბ. 1637 წ. გ. 1638 წ. დ. 1639 წ.

(1) 21. ვის ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „ვფიცავ იმის თავს, ვისაც ჩემი სიცოცხლე ხელთ უპყრია და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანი და მისი შიიტები იქნებიან ბედნიერნი მკვდრეთით აღდგომის დღეს“

ა. მუავიას ბ. ომარს გ. მუჰამედს დ. აბუ ბაქრის

(1) 22. რამდენი სურისგან შედგება ყურანი?

ა. 112 ბ. 113 გ. 114 დ. 115

II დავალება - შესაბამისობის პოვნა

ინსტრუქცია

ქვემოთ მოცემული ცხრილი შეავსეთ მეფეებსა და წარმოდგენილ ბრძოლებს შორის შესაბამისობების მიხედვით შემდეგი წესით: „X“ დასვით სწორი პასუხის ადგილზე, მაგ: თუ შესაბამისობა შენიშნეთ ლუარსაბ II-სა და ასპინძის ბრძოლას შორის, მაშინ მონიშნეთ უჯრა „X“ ნიშნაკით „2“-ის და „ე“-ს გადაკვეთაზე. II დავალება მაქსიმუმ ოთხი (4) ქულით ფასდება.

(4) 23. იპოვეთ შესაბამისობები ქართველ მეფეებსა და ბრძოლებს შორის

- | | |
|---------------|----------------------|
| 1. დავით IV | ა. ტაშისკარის ბრძოლა |
| 2. ლუარსაბ II | ბ. ფარცხისის ბრძოლა |
| 3. სოლომონ I | გ. ერწუხის ბრძოლა |
| 4. ერეკლე II | დ. ხრესილის ბრძოლა |
| | ე. ასპინძის ბრძოლა |
| | ვ. არადეთის ბრძოლა |

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1						
2						
3						
4						

III დავალება - ქრონოლოგიის განსაზღვრა

ინსტრუქცია

დაალაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით ერთიანი საქართველოს მეფეები (უძველესიდან უახლესისაკენ). პასუხები ჩაწერეთ მოცემულ უჯრებში. იწერება მხოლოდ დასახელებული მეფის შესაბამისი ციფრი. III დავალება ოთხი (4) ქულით ფასდება.

(4) 24. დაალაგეთ მეფეები ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ

- | | | | |
|--------------|------------|-------------|----------------|
| 1. ლუარსაბ I | 2. სიმონ I | 3. ბაგრატ V | 4. როსტომ ხანი |
|--------------|------------|-------------|----------------|

--	--	--	--

IV დავალება - შეცდომების აღმოჩენა და გასწორება

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. იპოვეთ დაშვებული შეცდომები. ტექსტის ბოლოში წარმოდგენილ პასუხების ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომები და მათი შესწორებული ვარიანტები. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება როგორც თქვენ მიერ ნაპოვნი შეცდომა (1 ქულით), ისე მისი შესწორებული ვარიანტი (1 ქულით). ასევე გაითვალისწინეთ, რომ პასუხების ცხრილის შესაბამის ადგილას უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, სახელი და ა. შ. და არავითარ შემთხვევაში, მთელი წინადადება ან თუნდაც რამდენიმე სიტყვა. IV დავალება მაქსიმუმ ათი (10) ქულით ფასდება.

(10) 25. 1804 წლის აჯანყება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში

1802 წლის პოლიტიკურმა გამოსვლამ კახეთში ნათლად დაადასტურა ქართველი ერის ყველაზე განათლებული ნაწილის (სამღვდელოების, თავადების, აზნაურების) დიდი უკმაყოფილება ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმებითა და რუსული მმართველობის დამყარებით. რუსეთი სპარსეთთან და ოსმალეთთან ომისათვის ემზადებოდა. ჯარის გადასაყვანად არსებული გზა გამოუსადეგარი იყო. დაიწყო სამხედრო გზის მშენებლობა. მშენებლობაზე მასობრივად იყენებდნენ არაგვის ხეობის მოსახლეობას. სიცივემ, შიმშილმა და ზვავებმა ბევრი ქართველის სიცოცხლე შეიწირა. ამას თან ერთვოდა რუსი მოხელეების, ოფიცრებისა და ჯარისკაცების თვითნებობა და თავაშვებულობა: მოსახლეობის შეურაცხყოფა, ცემა, ქალების გაუპატიურება და ა.შ. სამუშაოდ გასული მთიულებიდან რუსმა მოხელეებმა და ჯარისკაცებმა ცემით მოკლეს 123 კაცი. 1804 წლის მაისში მთიულები აჯანყდნენ. მათ თიანეთში მოკლეს რუსი კაპიტან-ისპრავნიკები, ასევე დახოცეს რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები. აჯანყება თიანეთს გასცდა და არაგვის ხეობაში გავრცელდა. 1804 წლის დამდეგიდან მთავარსარდალი პავლე ლებედევი ერევნის სახანოზე სალაშქროდ ემზადებოდა. ამიტომ აჯანყებულთა დამოშმინება მან თავის მოადგილეს, საქართველოს მმართველს გენერალ ვოლკონსკის დაავალა. მთიულების გარდა აჯანყებაში ჩაერთნენ: გუდამაყრის, ჭართლის, ხანდოს ხეობათა მცხოვრები, ასევე ფშაველები, ხევსურები და თრუსოს ხეობის ოსები. სულ აჯანყებაში 4 000 ადამიანზე მეტი ჩაერთო. აჯანყების მეთაურთა შორის გამოირჩეოდნენ ლევან ნახაიძე, შიო ბურდული და სხვები. აჯანყებულებმა თავიდანვე ხელთ იგდეს კაიშაურის საგუმაგო, ალყა შემოარტყეს დუშეთსა და ანანურს, ხოლო შემდეგ სტეფანწმინდისაკენ გაიჭრნენ. აჯანყებულებს ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის აღდგენა ეწადათ. მათ მოციქულები გაუგზავნეს იმერეთში მყოფ იულონ და ალექსანდრე ბატონიშვილებს. ბატონიშვილები გამოემართნენ აჯანყებულებთან შესახვედრად. სურამთან მომხდარი შეტაკების დროს რუსებმა იულონ ბატონიშვილი შეიპყრეს, სხვა ბატონიშვილებმა გაქცევა მოახერხეს. ისინი ბათუმში გადავიდნენ, საიდანაც სპარსეთის გავლით კახეთში ჩააღწიეს. აგვისტოში აჯანყებულებმა აიღეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტები სტეფანწმინდა და დუშეთი. სამხედრო გზა აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. მთავარსარდალმა ბაქოს ალყა მოხსნა და სასწრაფოდ საქართველოში დაბრუნდა. რუსეთის იმპერატორის ბრძანებით ჩრდილო კავკასიიდან დარიალის ხეობის გავლით არაგვის ხეობისაკენ წამოვიდა რუსეთის ჯარი, სულ 3 000 ჯარისკაცი 30 ქვემეხით. თბილისიდან არაგვის ხეობაში შეიჭრა მთავარსარდალი. აჯანყებულები ორ ცეცხლს შუა მოექცნენ. აჯანყებულები დამარცხდნენ. ფარნაოზ ბატონიშვილი შეიპყრეს და რუსეთის გზას გაუყენეს. რამდენიმე ადამიანი სიკვდილით დასაჯეს, აჯანყების 300-ზე მეტი მონაწილე საპყრობილეებში მოათავსეს. ასე დასრულდა 1804 წლის აჯანყება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.

	არის	უნდა იყოს
1		
2		
3		
4		
5		